საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-217

10/03/2020

ქ. თბილისი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კათნატუს მიმდებარე ტერიტორიაზე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ სასარგებლო წიაღისეულის (ტორფის) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კათნატუს მიმდებარე ტერიტორიაზე ტორფის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო უბნის („ხანჩალის“ საბადო) ჯამური ფართობია 172014 $მ^2$ (17,2 ჰა). აღნიშნულ უბანზე ტორფის პროგნოზული მარაგი შეადგენს 63 000 ტონას (გაანგარიშებულია 40%-იანი ტენიანობის პირობებში). ტორფის მოპოვება გათვალისწინებულია ღია კარიერული წესით. სკრინინგის განცხადებას თან ახლავს, სალიცენზიო ტერიტორიის shp ფაილები, რომლის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტორფის მოპოვებისთვის შერჩეული ტერიტორიიდან მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს დაახლოებით 750 მეტრს. სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 2055-2060 მეტრის სიმაღლეზე. ტერიტორია წარმოდგენილი ვაკე რელიეფით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, „ხანჩალის“ საბადო მიეკუთვნება დაბლობის (ბარის) ტიპს და წარმოდგენილია ისლის ტორფით. ტორფის ბუდობის მაქსიმალური სიმძლავრეა 2,6 მ, ხოლო ბუდობის ფსკერი წარმოდგენილია 0,1-0,7 მ სიმძლავრის ლამითა და ქვიშით. მოსაპოვებელი რესურსის სიმძლავრეა 1,7 მ, მორფოლოგიურად განეკუთვნება ფენობრივ, ლინზისებრ ტიპს. საპროექტო ტერიტორიის მცენარეული საფარი წარმოდგენილია ბალახითა და ისლით. ტერიტორიის ძირითად წყალშემკრებს წარმოადგენს ნაკადული, რომელიც სათავეს იღებს საბადოს ჩრდილო პერიფერიიდან და ხანჩალის ტბაში ჩაედინება. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტორფის მოპოვებისთვის შერჩეული ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ტერიტორია არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს და არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეები.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული საქმიანობასთან დაკავშირებული მახასიათებლები, კერძოდ ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, დაბინძურებისა და საქმიანობის პროცესში შესაძლო რისკების წარმოქმნის

საკითხები, ასევე ტორფის მოპოვების სამუშაოების ხანგრძლივობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის ელექტრონულად გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტორფის საბადო მდებარეობს გადამფრენ ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიაზე, რაც საჭიროებს დამატებით შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კათნატუს მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ ტორფის მოპოვებამ, თავისი მასშტაბითა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კათნატუს მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლოს წიაღისეულის (ტორფის) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნულ სააგენტოს“';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი